



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49222737

თარიღი:30/09/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №118

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ 56 (ორმოცდათექვსმეტი) ცალი ნაგავშემკრები კონტეინერის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 26 სექტემბრის 48-482226943 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ 56 (ორმოცდათექვსმეტი) ცალი ნაგავშემკრები კონტეინერის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომლის ღირებულება შეადგენს 98 000 (ოთხმოცდათვრამეტი ათასი) ლარს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ 56 (ორმოცდათექვსმეტი) ცალი ნაგავშემკრები კონტეინერის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

